# ლ ო გ ი კ ა

## მეოთხე კლასი

### ამოცანა 1

სალომემ  44 წიგნი ასე გაანაწილა: წიგნების ნახევარი კარადის თაროზე დაალაგა, დარჩენილის ნახევარი–საწერი მაგიდის თაროზე,  ხოლო დანარჩენი– მაგიდაზე, რამდენი წიგნი დადო სალომემ მაგიდაზე?

### ამოცანა 2

ტყეში სეირნობისას გიორგი ყოველ 3 მეტრში პოულობდა სოკოს. რა მანძილი გაიარა მან პირველიდან ბოლო სოკომდე, თუ სულ 20 სოკო იპოვა?

### ამოცანა 3

4 ერთიანი  მონეტიდან 1 ყალბია.  მისი წონა ნაკლებია ნამდვილი მონეტის წონაზე, თეფშებიანი სასწორით (გირების გარეშე), 2 აწონით, როგორ დაადგენთ ნამდვილ მონეტას?

ამოცანა 4

მელიამ დათვს დაჭერილი თევზი ასე გაუყო:

1–შენ, 2–მე;

3–შენ, 4–მე;

5–შენ, 6–მე;

7–შენ, 8–მე;

9–შენ, 10–მე.

მოატყუა თუ არა მელიამ დათვი და რამდენით?